ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი 40 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი ქალაქი აიღეს ხეთებმა ერთ-ერთი ლაშქრობისას შუამდინარეთში?

ა. ალექსანდრია

ბ. ბაბილონი

გ. მემფისი

დ. პერსეპოლისი

2. რა იყო დარიოს I-ის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგი?

ა. გახშირდა აჯანყებები დაპყრობილ ქვეყნებში

ბ. გაიზარდა ქურუმთა გავლენა ადგილობრივ მმართველებზე

გ. დაკნინდა ვაჭრობაზე დამყარებული ეკონომიკა

დ. გაძლიერდა ცენტრალური ხელისუფლება

3. რამ განაპირობა სპარტელთათვის დამახასიათებელი ლაკონური საუბრის სტილის ანუ „ლაკონიზმის“ ჩამოყალიბება?

ა. ცხოვრების სტილმა

ბ. უცხოტომელთა დიდმა გავლენამ

გ. ენის ლექსიკური მარაგის სიმწირემ

დ. დამწერლობის თავისებურებამ

4. რომელია მართებული მსჯელობა კუნძულ სალამინთან გამართული ბრძოლის შედეგის შესახებ?

ა. ბერძნული ფალანგის შეტევების შედეგად სპარსულმა ჯარმა უკან დაიხია და ათენი საფრთხეს გადაურჩა

ბ. ბერძნულმა ფლოტმა აქ სპარსელებს გზა გადაუკეტა და კონტინენტურ საბერძნეთში ჯარის გადასხმის საშუალება არ მისცა

გ. კუნძულ სალამინთან მოპოვებული გამარჯვების შედეგად სპარსული ფლოტი გაბატონდა ეგეოსის ზღვაში

დ. ბერძნების მიერ სპარსული ფლოტის განადგურების შედეგად ქსერქსე იძულებული გახდა უკან, აზიაში გაბრუნებულიყო

5. რომელი საისტორიო წყარო მოგვითხრობს ფარნავაზ მეფის შესახებ?

ა. „ძეგლი ერისთავთა“

ბ. „შატბერდის კრებული“

გ. „მესხური ქრონიკა“

დ. „ქართლის ცხოვრება“

6. რომელი კულტურების შერწყმა მოხდა ელინისტურ ხანაში?

ა. არაბული და დასავლური

ბ. ბერძნული და აღმოსავლური

გ. ებრაული და დასავლური

დ. რომაული და აღმოსავლური

7. როგორ დაიწყო პირველი ტრიუმვირატის დაშლა, რამაც შემდგომში სამოქალაქო ომის განახლება გამოიწვია?

ა. კრასუსი დაიღუპა პართელებთან ბრძოლაში, ხოლო კეისარსა და პომპეუსს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა

ბ. პომპეუსი მოკლეს ეგვიპტეში, კეისარმა და კრასუსმა კი ახალი დროებითი შეთანხმება გააფორმეს, რომელიც მალე დაირღვა

გ. კეისარმა პირველობის მოპოვების განზრახვით მოაკვლევინა კრასუსი, ხოლო პომპეუსი რომიდან განდევნა

დ. ერთპიროვნული მმართველობის გამო კრასუსმა და პომპეუსმა კეისარი შეთქმულთა ხელით მოკლეს

8. რა მიიჩნევა I მსოფლიო საეკლესიო კრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებად?

ა. ნესტორიანობის დაგმობა

ბ. რწმენის სიმბოლოს დადგენა

გ. დიოფიზიტობის აღიარება

დ. ხატმებრძოლობის აკრძალვა

9. რომელი ფაქტია მართებული ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

ა. განახორციელა ფინანსური რეფორმა

ბ. მოაწყო აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ

გ. დაამარცხა საქართველოში შემოჭრილი არაბები

დ. აღადგინა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე

10. რომელი ტომები *<u>არ მონაწილეობდნენ</u>* „ხალხთა დიდ გადასახლებაში“?

ა. ვანდალები

ბ. გოთები

გ. ფრანკები

დ. ყივჩაღები

11. ბაგრატ III-სთან დაკავშირებულ რა მოვლენას უკავშირდება დავით კურაპალატის სიტყვები: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი ... ამას დაემორჩილენით ყოველნი“?

ა. აფხაზთა მეფედ კურთხევას

ბ. კლდეკარის საერისთავოს გაუქმებას

გ. კახეთ-ჰერეთში ლაშქრობას

დ. ქართლის გამგებლად დადგინებას

12. ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქი აიღეს ყველაზე ადრე ჯვაროსნებმა პირველი ლაშქრობის დროს?

ა. ანტიოქია

ბ. ბაღდადი

გ. დამასკო

დ. იერუსალიმი

13. რაზე შეიძლება მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ XII საუკუნის ბოლოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება გადაწყვეტილებებს დარბაზის წევრთა „თანადგომითა და ერთნებაობით“ იღებდა?

ა. მეფის ხელისუფლების შედარებით შესუსტებაზე

ბ. მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის უარყოფაზე

გ. მეფისთვის აღმასრულებელი ხელისუფლების სრულ ჩამორთმევაზე

დ. მეფის მიერ სასულიერო პირთათვის პოლიტიკური უფლებების ბოძებაზე

14. რა *არ იყო* რაინდული ორდენების ამოცანა?

ა. საერო საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება

ბ. ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცვა

გ. მომლოცველების გადაადგილების ხელშეწყობა

დ. დაჭრილი ქრისტიანების მოვლა-პატრონობა

15. რამ განაპირობა კათოლიკური საეპისკოპოსოს გადმოტანა სმირნიდან თბილისში?

ა. საქართველოს მეფესა და რომის პაპს შორის უნიის გაფორმებამ

ბ. სამეფო კარზე კათოლიკობის სწრაფად გავრცელებამ

გ. ქართული დელეგაციის თხოვნამ რომის პაპისადმი

დ. საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდამ

16. რა შედეგით დამთავრდა ანკარასთან გამართული ბრძოლა ოსმალებსა და თემურ-ლენგს შორის?

ა. თემურ-ლენგი სასიკვდილოდ დაიჭრა

ბ. სულთანი და თემურ-ლენგი დაზავდნენ

გ. სულთანი ბაიაზეთი ტყვედ ჩავარდა

დ. ოსმალებმა ბრწყინვალე გაიმარჯვება მოიპოვეს

17. ვინ იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატორი XV საუკუნის II ნახევარში?

ა. რომის პაპი პიუს II

ბ. იერუსალიმის პატრიარქი ნიკიფორე V

გ. ირანის შაჰი ისმაილ I

დ. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX

18. რომელ სახელმწიფოებს უკავშირდება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყება?

ა. ესპანეთსა და ინგლისს

ბ. ინგლისსა და საფრანგეთს

გ. საფრანგეთსა და პორტუგალიას

დ. პორტუგალიასა და ესპანეთს

19. საქართველოს რომელი ნაწილი მოექცა XVI საუკუნის ბოლოს ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში?

ა. გურია-სამეგრელო

ბ. რაჭა-იმერეთი

გ. სამცხე-საათაბაგო

დ. ოდიშ-აფხაზეთი

20. რაში გამოიხატა ირანის სახელმწიფოს გაძლიერება XVII საუკუნის დასაწყისში?

ა. კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს დაკავებაში

ბ. ჰერეთში მუსლიმი ბაგრატიონის გამეფებაში

გ. დასავლეთ საქართველოს დაპყრობაში

დ. ოსმალეთის დამარცხებაში

21. რა იყო XVII საუკუნის 40-იან წლებში ინგლისში მიმდინარე სამოქალაქო ომის ერთ-ერთი შედეგი?

ა. თომას ფერფაქსის დიქტატურა

ბ. უილიამ ორანელის პრემიერ-მინისტრობა

გ. ოლივერ კრომველის პროტექტორატი

დ. პრინც რუპერტის რეგენტობა

22. რა იყო 1700 წელს რუსეთის მეფის პეტრე I-ის მიერ „ჩრდილოეთის ომის“ დაწყების მიზანი?

ა. პოლონეთ-ლიტვის კოალიციის დაშლა

ბ. ბალტიის ზღვაზე ევროპისკენ გასასვლელის მოპოვება

გ. ფინეთის დაპყრობა და იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნა

დ. დანიის დამარცხება ევროპის სახელმწიფოებთან დასაახლოებლად

23. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა დირექტორიის მოსვლა საფრანგეთის ხელისუფლებაში XVIII საუკუნის ბოლოს?

ა. მეფის გადადგომამ

ბ. ჟირონდისტების აჯანყებამ

გ. იაკობინელების პოლიტიკამ

დ. განმანათლებლების მოღვაწეობამ

24. ვინ იყო უკანასკნელი ქართველი მეფე, რომელიც ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისთვის?

ა. ლევან I

ბ. სოლომონ II

გ. ალექსანდრე III

დ. ვახტანგ IV

25. რომელი ომი დამთავრდა ადრიანოპოლის ზავით?

ა. 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის

ბ. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის

გ. 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის

დ. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის

26. რა იყო პირველ მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციის ერთ-ერთი მიზეზი?

ა. აშშ-ბრიტანეთის ჯარების მიერ აღმოსავლეთის ფრონტის ხაზის გარღვევა

ბ. აშშ-ს ავიაციის მიერ გერმანული ქალაქების მრავალგზის მასირებული დაბომბვა

გ. სახელმწიფოში მძიმე სოციალ-ეკონომიკური კრიზისი და შექმნილი რთული ვითარება

დ. გერმანიის ტერიტორიაზე რუს ბოლშევიკთა ჯარების შეჭრა და ქალაქების დაკავება

27. რას ითვალისწინებდა მუსოლინის მიერ 1929 წელს რომის ეკლესიასთან გაფორმებული შეთანხმება?

ა. რომის პაპმა მუსოლინი გამოაცხადა იტალიის მონარქად

ბ. მუსოლინიმ კათოლიკობა გამოაცხადა იტალიის სახელმწიფო რელიგიად

გ. ვატიკანი გამოცხადდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად

დ. კათოლიკეებს მიენიჭათ უპირატესობა სახელმწიფო სტრუქტურებში

28. რისი მანიშნებელი იყო პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის „შავი ხუთშაბათის“ სახელით ცნობილი მოვლენა?

ა. ებრაელთა მასობრივი დევნის

ბ. ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყების

გ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყების

დ. გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის

29. რა იყო რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის მიზანი?

ა. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შექმნა

ბ. დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური გავლენის სფეროების განაწილება

გ. აშშ-სა და სსრკ-ს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება

დ. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიების გადანაწილება

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ არაბთა ლაშქრობებთან დაკავშირებული მოვლენები:

1. არაბთა პირველი გამოჩენა საქართველოში
2. პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა
3. ფრანკებთან მარცხი პუატიეს ბრძოლაში

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ერეკლე II-სთან დაკავშირებული მოვლენები:

1. მორიგე ჯარის შემოღება
2. ქართლ-კახეთის მეფედ გახდომა
3. ასპინძის ბრძოლა

32. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ერთა ლიგის მიერ საქართველოს წევრად მიღების საკითხის განხილვა
2. სომხეთთან ომი
3. დამფუძნებელი კრების არჩევნები

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33 და 34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციებზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 33.

ორივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთიდაიგივე ისტორიული ფაქტი, რომელიც მოხდა XX საუკუნის მეორე ნახევარში.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **33.1.** რა ისტორიული ეპიზოდია ასახული ილუსტრაციებზე?

(1) **33.2.** რომელ ქალაქში ხდება ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული ეპიზოდი?

(1) **33.3.** რა მოვლენის შემადგენელ ნაწილად ითვლება ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული ეპიზოდი?

(1) **33.4.** რის სიმბოლოს წარმოადგენდა ილუსტრაციებზე ასახული კედელი?

(1) **33.5.** განმარტეთ, რატომ მიენიჭა ილუსტრაციებზე ასახულ კედელს თქვენს მიერ დასახელებული სიმბოლური მნიშვნელობა?

დავალება 34.

პლაკატი ვებგვერდიდან - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“. **კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

კითხვები:

(1) **34.1.** რა ისტორიული მოვლენის აღსანიშნავადაა შექმნილი პლაკატი?

(1) **34.2.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად სახელმწიფოს, რომელიც იგულისხმება ლოზუნგში ნახსენებ სამშობლოში?

(1) **34.3.** განმარტეთ ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა და რატომ?

(1) **34.4.** რეალურად რატომ არ იყო საზეიმოდ აღსანიშნავი საქართველოში ის ისტორიული მოვლენა, რომელსაც ეძღვნება პლაკატი?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

35. დიდი ომიანობა ეგრისში

VI საუკუნეში ლაზთა მეფე გუბაზმა ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ირანის შაჰთან დაკავშირება გადაწყვიტა და ამ საკითხის განსახილველად თათბირი მოიწვია. დიდებულთა ნაწილი შაჰთან კავშირის მომხრე იყო, ნაწილი კი - წინააღმდეგი.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც შაჰის მოკავშირეობის მომხრე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც შაჰის მოკავშირეობის მოწინააღმდეგე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

36. მარტინ ლუთერი

1517 წელს მარტინ ლუთერმა თავისი „95 თეზისი“ გამოაქვეყნა, რითაც ფაქტობრივად რომის პაპს დაუპირისპირდა. გერმანელ ფეოდალთა ერთმა ნაწილმა მას მხარი დაუჭირა, ხოლო სხვანი მის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ლუთერის მომხრე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ლუთერის მოწინააღმდეგე საკუთარ პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **37.2.** რა ისტორიული პროცესია ასახული რუკაზე?

(1) **37.3.** დაასახელეთ ერთი პიროვნება, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა რუკაზე ასახულ პროცესში.

(2) **37.4.** რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი სტრასბურგი რუკაზე ასახული პროცესის დასაწყისში და რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა ის შემდგომ?

(1) **37.5.** რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრების მარშრუტია დატანილი რუკაზე?

(2) **37.6.** რომელი სახელმწიფოების საზღვრები არ შეცვლილა რუკაზე ასახული პროცესის დროს?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

ბაგრატის მეფობის ჟამს გამოვიდა სულთანი ალფარსლანი, მეფე სპარსეთისა და დაესხა თავს ქვეყანას. უეცრად მოვიდა, ააოხრა თრიალეთი. გადავიდა შავშეთში, კლარჯეთში და ტაოში ფანასკერტამდე. იმავე დღეს ჩამოვიდა თორში, გადავიდა სულთნის ლაშქარი ჯავახეთში და შემოერტყა ახალქალაქს. მესხი აზნაურები ძლიერად იცავდნენ ახალქალაქს და იბრძოდნენ სამი დღის მანძილზე. მაგრამ რადგან ახალქალაქის ზღუდის მშენებლობა არ იყო დასრულებული, ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა. შეცვივდნენ თურქები ქალაქში. ხელში ჩაიგდეს დიდძალი განძი და ტყვეები.

გამოუგზავნა სულთანმა ბაგრატ მეფეს ახალქალაქიდან მოციქული, შესთავაზა დანათესავება და სთხოვა დისწული ცოლად. გაათხოვა ბაგრატმა თავისი დისწული და შერთო ის სპარსთა მეფეს.

სამი წლის შემდეგ კვლავ გამოვიდა სულთანი. მეფე აღსართანი გადავიდა სულთნის მხარეზე. მიართვა დიდი ძღვენი, შეიცვალა რჯული და აღუთქვა ხარკის გადახდა. სამი კვირის შემდეგ გამოემართა სულთანი აფხაზთა მეფის წინააღმდეგ. შემოვიდნენ ქართლში. გამთენიისას შემოუშვეს დამარბეველი რაზმი და საღამოსთვის მთელი ქართლი სავსე იყო მათით. მოხდა ეს დეკემბრის თვეში. იყო ქართლში პური და ღვინო ულევი. დაჰყო აქ სულთანმა ექვსი კვირა და დაიწყო მხარის აოხრება და მცხოვრებთა ხოცვა. მიუგზავნა მეფე ბაგრატმა სულთანს მშვიდობის სათხოვნელად მოციქულად ივანე, ლიპარიტის ძე. ხოლო სულთანმა დააბრუნა იგი აფხაზეთში ბაგრატთან, მოსთხოვა

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ხარკის გადახდა და შეჰპირდა მშვიდობას, მაგრამ ვეღარ გაუძლო ზამთრის ყინვებს და პასუხის მიღებამდე წავიდა ქართლიდან.

უგზავნიდა სულთანი ბაგრატ მეფეს მოციქულებს ძღვნითურთ და ტკბილი ენით ითხოვდა მისგან ხარკს. არ დაადო ბაგრატმა ქვეყანას ხარკი, არამედ გზავნიდა ისიც მოციქულებს ძღვნითურთ. მიიცვალა ბაგრატი თვესა ნოემბერსა, ოცდაოთხში, ქორონიკონის 292-ში.

ამის შემდეგ გამეფდა ბაგრატის ძე გიორგი.

მოვიდა სულთანი მალიქშაჰი, ყველა ქრისტიანის მტერი. ააოხრა ქართლი, წაიყვანა ურიცხვი ტყვე, წაიღო დიდი ალაფი და გაბრუნდა. ამის შემდეგ აიღო განძა, დატოვა იქ მმართველად სარანგი და დაუტოვა მას ორმოცდარვა ათასი კაცი. მცირე ხნის შემდეგ სარანგი მთელი თავისი ლაშქრით, აგრეთვე დვინისა და დმანისის ამირათა თანადგომით გამოემართა გიორგი მეფის წინააღმდეგ. შეკრიბა გიორგი მეფემ მთელი თავისი ლაშქარი, ზემო და ქვემო მხარეებისა. განაძლიერა ღმერთმა გიორგი მეფე. ლაშქრით დაესხა თავს სარანგს ფარცხისის ქვემოთ და გააქცია.

ამის შემდეგ, ღმერთის წყალობით, დაუბრუნდათ ქართველებს ბერძენთა მიერ წართმეული ციხეები. წაართვა მეფე გიორგიმ ბერძნებს ანაკოფია, აფხაზეთის მთავარი ციხე.

ივანობის დღეს თურქებით აივსო ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის სანაპირომდე, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო, ჭყონდიდი. გაიჟლიტა და დატყვევებულ იქნა ამ მხარეთა მრავალი მკვიდრი. ერთ დღეში გადაწვეს ქუთაისი, არტანუჯი

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

და კლარჯეთის უდაბნონი. დარჩნენ ამ მხარეებში თურქები თოვლის მოსვლამდე, გადაჭამეს ქვეყანა და ამოხოცეს ყველა. ეს მოხდა ქორონიკონის 300-ში.

გაგრძელდა ქრისტიანებზე დატეხილი ეს უბედურება, რადგან გაზაფხულის დადგომისას კვლავ ბრუნდებოდნენ თურქნი და იგივეს სჩადიოდნენ, ზამთარში კი მიდიოდნენ. აღარაფერი ითესებოდა და იმკებოდა იმ დროს. აოხრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა. ადამიანთა ნაცვლად მხეცნი და ველის ნადირნი დამკვიდრდნენ აქ. გაუსაძლის გასაჭირში იყო ქვეყნის ყველა მკვიდრი.

ხედავდა რა ყველაფერ ამას, მეფე გიორგიმ, რადგან არ ჩანდა არავითარი ხსნა და შეწევნა ამ უბედურებისაგან, რომელსაც მოეცვა მთელი ქვეყანა, თავის დიდებულებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, რომ წასულიყო მაღალ სულთანთან, მალიქშაჰთან. ასე გაწირა მეფემ საკუთარი სული და ხორცი ქრისტიანთა ხსნისათვის. მიენდო ღმერთს, წინ წაიმძღვარა ძელი ცხოვრებისა და წავიდა ისპაჰანში, ნახა სულთანი.

მალიქშაჰი ძლიერი იყო არა მარტო როგორც შეუდარებელი მეომარი და ქვეყანათა მპყრობელი, არამედ სხვებზე აღმატებული იყო თავისი სიტკბოებითა და სახიერებითაც. შეუსრულა მეფე გიორგის ყველა თხოვნა და იმაზე მეტი, რისი იმედიც მეფეს ჰქონდა. გაათავისუფლა მისი სამეფო მარბეველთაგან, გადასცა კახეთი და ჰერეთი, სამაგიეროდ ითხოვა ხარკის მიცემა, რომელსაც იღებდა კიდეც ხანგრძლივი დროის მანძილზე.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **38.1.** მერამდენე გიორგის სახელით არის ცნობილი ისტორიაში წყაროში მოხსენიებული გიორგი მეფე?

(1) **38.2.** წყაროს მიხედვით, რამ გაუადვილა თურქებს ახალქალაქის აღება?

(1) **38.3.** რატომ გაბრუნდა ქართლში მეორედ შემოჭრილი ალფარსლანი უკან ბაგრატ მეფისგან პასუხგაუცემლად?

(1) **38.4.** რა ქრისტიანული სიწმინდეა დასახელებული წყაროში და რა მიზნით გამოიყენეს ის?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** წყაროს მიხედვით, ვინ დაიხმარა სარანგმა გიორგი მეფის წინააღმდეგ ლაშქრობაში?

(1) **38.6.** რა ეწოდება წყაროში აღწერილ მოვლენას, რომელიც მოხდა „ქორონიკონის 300-ში“?

(1) **38.7.** წყაროს მიხედვით, ჩამოთვალეთ რა მოიმოქმედა მეფე აღსართანმა სულთნის მხარეზე გადასვლისას?

(2) **38.8.** წყაროს მიხედვით, ალფარსლანის რომელი მოთხოვნა დააკმაყოფილა ბაგრატ მეფემ და რომელი არა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** წყაროს მიხედვით, რა კონკრეტულ სამხედრო წარმატებებს მიაღწია გიორგი მეფემ?

(2) **38.10.** წყაროს მიხედვით, საქართველოს რომელი კუთხეები *<u>არ შედიოდა</u>* გიორგი მეფის დაქვემდებარებაში და რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

(2) **38.11.** წყაროს მიხედვით, სად მდებარეობდა „სპარსთა მეფის“ რეზიდენცია და რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ ეს დასკვნა?

(2) **38.12.** რომელმა მეფემ შეწყვიტა გიორგი მეფის მიერ ნაკისრი ხარკის გადახდა და რა საერთაშორისო მოვლენამ შეუწყო ხელი მას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე